კოდიფიცირებული

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №05

ქ. ბათუმი 25 აპრილი, 2017წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოს დაწესების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-ს სტუდენტების მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში (საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული ან კულტურული) მონაწილეობის მიღების წახალისების მიზნით დაწესდეს თითოეული სტუდენტისათვის ერთჯერადი წამახალისებელი ფულადი ჯილდო ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის:

ა) ერთი დღისათვის არაუმეტეს 30 ლარისა - ქალაქგარეთ (ბათუმიდან 30 კმ-ზე მეტ მანძილზე) გასამართი ღონისძიებისათვის;

ბ) ერთი დღისათვის არაუმეტეს 100 ლარისა - უცხო ქვეყანაში გასამართი ღონისძიებისათვის.

2. შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში გამოიცეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება სტუდენტის დაჯილდოების შესახებ, რომლითაც განისაზღვროს ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა

(ღონისძიების მოსამზადებელი და ძირითადი ეტაპების - დღეების გათვალისწინებით).

2[1]. სხვადასხვა სპორტის ფედერაციის/სპორტის ან კულტურის სააგენტოს ორგანიზებით ჩატარებული ღონისძიების წარმატებული მონაწილე ბსუ-ს სტუდენტების (ფინალისტების ან ნახევარ-ფინალისტების) წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტი გამოიცეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, სტუდენტების მიერ მიღებული შედეგის შესახებ სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის სამსახურებრივი ბარათისა და ღონისძიების ორგანიზატორის რეგლამენტის/წესდებით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოს ოდენობის გათვალისწინებით *(შევიდა დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N03 გადაწყვეტილებით).*

3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოს დაწესების თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 05 მაისის N07 გადაწყვეტილება.**
4. გადაწყვეტილება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და მართვის ორგანოებს.
5. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვედზე და უნივერსიტეტის ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**